საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/95

ქ. ბათუმი **25 ივლისი, 2018**

ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირებთან საგანმანათლებლო პროგრამის ენაში გასაუბრების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების, „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანების, „ბსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის N34 დადგენილების, ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირებთან გასაუბრების ჩასატარებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 12 ივლისის N01-08/85 ბრძანების, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის (N934637, 23.07.2018), ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N937664, 24.07.2018) და ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (MES 936813, 24. 07. 2018) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს თანდართული ,,**ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე** ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირებთან საგანმანათლებლო პროგრამის ენაში გასაუბრების ჩატარების წესი“ **(დანართი 1).**
2. შეიქმნას ვიდეო-ჩანაწერების დაარქივებისათვის ელექტრონული ფოსტა videoarchive@bsu.edu.ge.
3. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად გაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, განათლების ფაკულტეტს (უცხო ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრს), ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს (ქართული ფილოლოგიის დარგობრივ დეპარტამენტს), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სტუდენტთა

კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2018 წლის
25 ივლისის N ------- ბრძანების
01-08/95

დანართი 1

ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირებთან საგანმანათლებლო პროგრამის ენაში გასაუბრების ჩატარების წესი

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირებთან საგანმანათლებლო პროგრამის ენაში გასაუბრების ჩატარების წესი (შემდეგში ,,წესი") საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში ,,ბსუ") არეგულირებს ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველ პირებთან გასაუბრების ჩატარების პროცედურებს.
2. „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/ სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ პირებთან, რომელთაც სურთ ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ამ პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ტარდება გასაუბრება ქართულ ან ინგლისურ ენაში (იმ პროგრამის ენის შესაბამისად, რომელზეც სწავლა სურს განმცხადებელს) და ხდება გასაუბრების **(მათ შორის სკაიპით)** ვიდეოჩანაწერის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის (შემდეგში ,,სამინისტრო") ხელმისაწვდომობა.
3. შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი, შესაბამისი ფაკულტეტის პერსონალისა და ბსუ-ს ფაკულტეტის უცხო ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის/ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის პერსონალის ჩართულობით (იმის მიხედვით, თუ რომელ ენაზე უნდა ისწავლოს განმცხადებელმა), უზრუნველყოფს ბსუ-ში ჩარიცხვის მსურველთან გასაუბრების ჩატარებას (გასაუბრების ჩამტარებელი კომისიის შემადგენლობა შესაძლებელია განისაზღვროს ელექტრონული საქმისწარმოების საშუალებით წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათისა და შესაბამისი სამსახურებრივი დავალების შესაბამისად).
4. ქართულ და ინგლისურ ენებზე გასაუბრების ჩატარებისას კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს შესაბამისად, ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის და უცხო ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ შემუშავებული თემატიკისა და ხანგრძლივობის შესაბამისად **(წინამდებარე წესის დანართი 1,2)**;

5. გასაუბრების ჩატარებისა და გასაუბრების ვიდეოჩანაწერის გამოყენებული იქნეს ვიდეო-კამერა და შტატივი (ბსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვიდეო-სტუდიის ტექნიკური აღჭურვილობა).
6. ბსუ-ში ჩარიცხვის მსურველთან ჩატარებული გასაუბრების/ვიდეოგასაუბრების ვიდეოჩანაწერი დაარქივებული იქნეს და მიეწოდოს შესაბამის ფაკულტეტსა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს.
7. გასაუბრების/ვიდეოგასაუბრების ვიდეოჩანაწერების დაარქივებისათვის გამოყენებული იქნეს ელექტრონული ფოსტა videoarchive@bsu.edu.ge, რომლის წარმოებაზე და ასევე გასაუბრების ტექნიკურ გამართულობაზე პასუხისმგებელია ბსუ საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი.
8. ჩატარებული გასაუბრების ვიდეოჩანაწერი დაარქივებული იქნეს და მიეწოდოს შესაბამის ფაკულტეტსა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს. ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს დაარქივებული მასალის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობა.
9. წინამდებარე წესის შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (სასწავლო პროცესის მიმართულებით).

,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირებთან საგანმანათლებლო პროგრამის ენაში გასაუბრების ჩატარების წესის **დანართი 1**

გასაუბრება ქართულ ენაში (ხანგრძლივობა 10-15 წთ)

გასაუბრების სტრუქტურა:

1. დიალოგი;
2. საუბარი (თემა მოცემულ საკითხზე)

შეფასება: გასაუბრების საბოლოო შეფასებაა: ა) დადებითი ან ბ) უარყოფითი.

ა) **დადებითი შეფასება:** აპლიკანტი საუბრობს შეუფერხებლად (ან მცირე შეფერხებით), იყენებს მრავალფეროვან ლექსიკას, იცავს გრამატიკულ ნორმებს (ან აქვს მცირეოდენი შეცდომები). შეუძლია კომუნიკაციის დამყარება და საკუთარი აზრის მკაფიოდ გამოხატვა; მცირეოდენი შეცდომები ხელს არ უშლის აზრის გაგებინებას. აპლიკანტს აქვს საკმარისი უნარი, სწავლა განახორციელოს ქართულენოვან საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამაზე.

ბ) **უარყოფითი შეფასება:** აპლიკანტი ვერ საუბრობს გასაგები ენით, იყენებს ერთფეროვან ლექსიკას, ვერ იცავს გრამატიკულ ნორმებს. ვერ ახერხებს კომუნიკაციის დამყარებას და საკუთარი აზრის მკაფიოდ გამოხატვას; აპლიკანტი ვერ აკმაყოფილებს ქართულენოვან საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამაზე სწავლისათვის საჭირო მოთხოვნებს.

1. **დიალოგი** (სავარაუდო კითხვები)

2. რა გქვია და რა გვარის ხარ?
3. რამდენი წლის ხარ?
4. სად ცხოვრობ?
5. სად სწავლობ?
6. რომელ წელს დაიბადე?
7. რომელ ქვეყანაში დაიბადე?
8. რომელ წელს დაამთავრე სკოლა?
9. უნივერსიტეტში რომელ კურსზე ხარ?
10. სად ცხოვრობს შენი ოჯახი?
11. სად მუშაობენ შენი მშობლები?
12. და ან ძმა გყავს?
13. რა ჰქვია შენს დას?
14. რამდენი წევრი ცხოვრობს შენს ოჯახში?
15. ბებია ან ბაბუა გყავს?
16. რა პროფესიისაა დედაშენი?
17. სად მუშაობს მამაშენი?
18. რამდენი წლის არიან შენი მშობლები?
19. შენ სწავლობ თუ მუშაობ?
20. ვინ არიან შენი მეგობრები?
21. თქვენი მეგობარიც სტუდენტია?
22. შენი მეგობარი ქართველია?
23. როგორი ამინდია დღეს?
24. როგორი ამინდი იყო გუშინ?
25. ყოველ დილით რომელ საათზე იღვიძებ?
26. გაღვიძების შემდეგ რას აკეთებ?
27. რომელ საათზე სადილობ?
28. რას აკეთებ სადილის შემდეგ?
29. რომელ საათზე ვახშმობ?
30. როდის უყურებ ტელევიზორს?
31. რომელ საათზე იძინებ?
32. ავტოსადგური სად არის?
33. მგზავრობა რა ღირს?
34. სპორტი გიყვარს?
35. როგორი მუსიკა გიყვარს?
36. რამდენი დროა წელიწადში?
37. რომელია ყველაზე ლამაზი დრო?
38. რომელია წელიწადის ყველაზე ცხელი დრო?
39. რომელია წელიწადის ყველაზე ცივი დრო?
40. რომელია ზამთრის თვეები?
41. რამდენი თვეა წელიწადში?
42. წელიწადის რომელი დროა იანვარი?
43. რამდენი კვირაა ერთ თვეში?
44. კვირაში რამდენი დღეა?

45. დღეს სამშაბათია, რა დღე იყო გუშინ?
46. როგორია თქვენი ოჯახი?
47. სად ცხოვრობთ თქვენ და ვისთან ერთად?
48. როგორია თქვენი სახლი? რამდენ სართულიანია?
49. სად ისვენებთ ზაფხულში - მთაში თუ ზღვაზე?
50. რომელია თქვენი ქვეყნის დედაქალაქი?

2. **საუბარი** (თემა მოცემულ საკითხზე) - თემატიკა

1. საქართველო
2. ჩემი ქართველი მეგობარი
3. ჩემი ერთი დღე
4. შაბათი და კვირა
5. ჩემი სოფელი
6. ჩემი უნივერსიტეტი
7. ბიოგრაფია
8. ჩემი მასწავლებელი
9. ჩემი ოჯახი
10. ჩემი ოთახი

გასაუბრება ინგლისურ ენაში (ხანგრძლივობა 10-15 წთ)

გასაუბრების სტრუქტურა: **კითხვა-პასუხი/ დიალოგი;**

შეფასება: გასაუბრების საბოლოო შეფასებაა: ა) დადებითი ან ბ) უარყოფითი.

ა) **დადებითი შეფასება:** აპლიკანტი საუბრობს შეუფერხებლად (ან მცირე შეფერხებით), იყენებს მრავალფეროვან ლექსიკას, იცავს გრამატიკულ ნორმებს (ან აქვს მცირეოდენი შეცდომები). შეუძლია კომუნიკაციის დამყარება და საკუთარი აზრის მკაფიოდ გამოხატვა; მცირეოდენი შეცდომები ხელს არ უშლის აზრის გაგებინებას. აპლიკანტს აქვს საკმარისი უნარი, სწავლა განახორციელოს ინგლისურენოვან საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამაზე.

ბ) **უარყოფითი შეფასება:** აპლიკანტი ვერ საუბრობს გასაგები ენით, იყენებს ერთფეროვან ლექსიკას, ვერ იცავს გრამატიკულ ნორმებს. ვერ ახერხებს კომუნიკაციის დამყარებას და

საკუთარი აზრის მკაფიოდ გამოხატვას; აპლიკანტი ვერ აკმაყოფილებს ინგლისურენოვან საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამაზე სწავლისათვის საჭირო მოთხოვნებს.

GETTING TO KNOW THE STUDENT

1. What is your first name?
2. If you had to choose just one word to describe yourself, what word would you choose?
3. Tell me, why do you want to study in Georgia?
4. Why do you want to study at our university?
5. When you go to a university, what would you like to study?
6. Tell me about your hometown. If I came to visit you, where in your hometown would you take me? What would you show me?
7. What is one thing you love and respect about your mother or father?
8. What is one part of Georgian culture that you are excited to experience?
9. What is one part of Indian culture that you would like to share with Georgians?
10. What do you do in your spare time?
11. Tell me about your favorite teacher. What do you like about them?
12. Describe your best friend. How is he or she similar to you? How is he or she different?
13. Is there anything you would like us to know about you?
14. What's the challenge you faced in the past? What's a challenge you may face in Georgia?
15. In ten years, where would you like to be living and what would you like to be doing?
16. If you had ten million (Indian Rupee) what would you do with the money?
17. If you could travel to anywhere in the world right now, where would you go?